

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო
საკითხთა და ეთიკის კომისიის

სხდომის ოქმი N 26

ხაშური

2018 წლის 14 დეკემბერი

11-30 სთ

სხდომის თავმჯდომარე ანა ხარებავა - ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ :

კომისიის წევრები: ცოტნე ნოზაძე, იმედა მეტრეველი, ჯონდო კაპანაძე, ნატო კიკაძე.

კომისიის სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის 5 წევრის დასწრებით

სხდომის დღის წესრიგი (პროექტი)

1) 2019-2020 წლებში ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო
გეგმის დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვა.
ანა ხარებავა

2) ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის
დამტკიცების შესახებ.
ანა ხარებავა

3) კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობის შემსრულებლის
შესახებ.

ანა ხარებავა

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ I საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2019-2020 წლებში ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ პროექტზე.

აზრი გამოთქვას: ნატო კიკაძემ, იმედა მეტრეველმა, ანა ხარებავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0)

კომისიამ გადაწყვიტა: პროექტი შეესაბამება კანონმდებლობას და წარდგენილი იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განსახილველად.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ II საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვას: ცოტნე ნოზაძემ, ჯონდო კაპანაძემ, ანა ხარებავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0)

კომისიამ გადაწყვიტა: მოწონებულ იქნას ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმა და წარდგენილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ III საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობის შემსრულებლის შესახებ.

აზრი გამოთქვას: ჯონდო კაპანაძემ, იმედა მეტრეველმა, ანა ხარებავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0)

კომისიამ გადაწყვიტა: სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, ამავე კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობის შესრულება დაევალოს კომისიის წევრს იმედა მეტრეველს.

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

თავმჯდომარე *ს. ხარებავა* ანა ხარებავა